სსიპ-დავით აღმაშენებელის სახელობის საქართველოს ეროვნული თავდაცვის აკადემიაში პლაგიატის რეგულირების წესი

მუხლი 1-. რეგულირების სფერო

წინამდებარე დოკუმენტი ვრცელდება:

1. სსიპ-დავით აღმაშენებელის სახელობის საქართველოს ეროვნული თავდაცვის აკადემიაში (შემდგომში აკადემია) დასაქმებულ პერსონალზე, რომლებიც სამსახურებრივი საქმიანობის ფარგლებში ახორციელებენ სამეცნიერო-კვლევით და საგანმანათლებლო აქტივობებს;
2. აკადემიის იუნკერებზე და მსმენელებზე, რომლებიც ახორციელებენ საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებულ სასწავლო ან სამეცნიერო-კვლევით საქმიანობას;
3. პირებზე, რომლებიც მონაწილეობას იღებენ აკადემიაში არსებულ სამეცნიერო-კვლევით აქტივობებში საგრანტო პროექტებში, კონფერენციებში ან/და სურვილი აქვთ გამოაქვეყნონ ნაშრომები/კვლევები/სტატიები/სახელმძღვანელოები და სხვა სამეცნიერო ხასიათის დოკუმენტები.

მუხლი 2. მიზანი

წინამდებარე დოკუმენტის მიზანია განმარტოს აკადემიური კეთილსინდისიერება და პლაგიატი, შეიმუშავოს პლაგიატის პრევენციის, მისი აღმოჩენის, დადგენის და მასზე რეაგირების მექანიზმები.

მუხლი 3. ტერმინთა განმარტებები:

1. **აკადემიური კეთილსინდისიერება** მოიაზრებს აკადემიაში სწავლა-სწავლებისა და კვლევის შემდეგ ღირებულებებზე დაყრდნობით განხორციელებას: პატიოსნება, ნდობა, სამართლიანობა, პატივისცემა და ანგარიშვალდებულება.

2. **პლაგიატი** არის სხვისი ნაშრომის ან იდე(ებ)ის წარმოდგენა საკუთარ ნაშრომად ავტორის ნებართვის გარეშე. ნაშრომში იგულისხმება, როგორც გამოქვეყნებული, ასევე გამოუქვეყნებელი მასალა (სახელმძღვანელოები, ჟურნალები,

ლექციები, თეზისები, სტუდენტური ესეები და პროექტები, ინტერნეტიდან გადმოწერილი ტექსტები, მონაცემები და წყაროები), როგორც ხელნაწერი, ასევე ნაბეჭდი ან ელექტრონული ფორმით. მასალა შეიძლება იყოს როგორც ტექსტი, ასევე ვიდეო-აუდიო ფაილები, კომპიუტერული კოდი, ილუსტრაციები, გრაფიკები და ა.შ. [ოქსფორდის უნივერსიტეტი]

მუხლი 4. პლაგიატის ტიპები

1. სრული პლაგიატი (Use of material written by professional agencies or other persons) - სხვისი ნაშრომის წარდგენა საკუთარ ნაშრომად ამ ნაშრომის მიღების სხვადასხვა გზის გამოყენებით: სხვისი ინტელექტუალური საკუთრების ყიდვა ავტორისგან ან/და სააგენტოსგან, როგორც მათი ნებართვით, ასევე ნებართვის გარეშე; ასევე, ნაშრომის თხოვნით შესრულება ლექტორის, კოლეგის, მეგობრის, ნათესავის ან და სხვა ახლობელი ადამიანის მიერ.

2. სიტყვა-სიტყვით პლაგიატი (clone) - სხვისი ნაშრომიდან გარკვეული ტექსტის გამოყენება საკუთარ ნაშრომში უცვლელად (სიტყვა-სიტყვით), ამ ტექსტის ბრჭყალებში ჩასმისა და ავტორის მითითების გარეშე.

3. კოპირება და ჩასმა (copy/cut and paste) - სხვისი ნაშრომიდან გარკვეული ტექსტის გამოყენება საკუთარ ნაშრომში მცირე ცვლილებით (რამდენიმე სიტყვა), ამ ტექსტის ავტორის მითითების გარეშე.

4. მოზაიკური პლაგიატი (mozaic plagiarism) – სხვადასხვა ნაშრომებიდან გარკვეული ტექსტების გამოყენება საკუთარ ნაშრომში, ამ ტექსტების ბრჭყალებში ჩასმისა და ავტორების მითითების გარეშე.

5. პარაფრაზი (paraphrase) - სხვისი ნაშრომიდან გარკვეული ტექსტის გამოყენება საკუთარ ნაშრომში მისი პარაფრაზირებით (სხვა სიტყვებით ჩამოყალიბება), ამ ტექსტის ავტორის მითითების გარეშე და ტექსტისთვის ავტორისეული სტრუქტურის, სტილისა და ენის შენარჩუნებით.

6. არანებადართული თანამშრომლობა (collusion) - ნაშრომის შემუშავებაში ჩართულია სხვა პირ(ებ)ი, ნაშრომი შესრულებულია ინსტრუქციისა და წესების დარღვევით, ნაშრომში არ არის მითითებული ამ პირ(ებ)ის მიერ შესრულებული სამუშაოს ნაწილი.

7. თვითპლაგიატი (self plagiarism) - საკუთარი ნაშრომის გამოყენება რეფერირების გარეშე სხვა ნაშრომში, ერთდროულად ერთი და იგივე ნაშრომის წარდგენა სხვადასხვა სარგებელის მიღების მიზნით ან/და უკვე შეფასებული ნაშრომის ხელახლა შეფასების მიზნით საკუთარი ნაშრომის გამოყენება.

8. თარგმანი - სხვისი ნაშრომის თარგმნა წყაროების მითითების გარეშე.

9. დახმარების მიღების უარყოფა (Failure to acknowledge assistance) - ნაშრომში არ არის აღნიშნული და აღიარებული სხვისგან მიღებული ისეთი დახმარება (იდეა, მოსაზრება და ა.შ.), რამაც მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანა ნაშრომის შესრულე-ბაში.

10. იდეის პლაგიატი - სხვისი იდეის გადმოცემა ავტორის მითითების გარეშე.

11. სტილის პლაგიატი - წყაროში გადმოცემული აზრის ფეხდაფეხ მიყოლა, ავტორის ნაწერის სტილის საკუთარ ნაშრომში გამოყენება, თუნდაც წინადადებები შინაარსობრივად იყოს განსხვავებული.

12. არასწორი ციტირება - წყაროს მიუთითებლობა ტექსტში, წყაროს არასრული ჩამონათვალი ბიბლიოგრაფიაში.

13. არარსებული წყაროების მითითება- არარსებული წყაროს გამოგონება და მისი მითითება ნაშრომში.

14. სხვა შემთხვევები, რაც აღიარებულია საერთაშორისო აკადემიურ სფეროებში.

მუხლი 5. აკადემიური არაკეთილსინდისიერება და აკადემიური კეთილსინდისიე-რების უზრუნველყოფის მექანიზმები

1. **აკადემიური არაკეთილსინდისიერება არის:**

ა) პლაგიატი;

ბ) თვით-პლაგიატი;

გ) ფალსიფიკაცია;

დ) სხვა პირის ნაცვლად გამოცდის ჩაბარება ან/და სხვა პირისთვის ანალოგიური თხოვნით მიმართვა;

ე) კონფიდენციალური ინფორმაციის მოპოვება მოცემული დავალების შესასრულებლად (ქვიზი, გამოცდა, პროექტი და ა.შ.) შესახებ;

ვ) სხვისი ნამუშევრის მოპარვა, განადგურება ან შეცვლა;

ზ) და სხვა შემთხვევები, რაც აღიარებულია საერთაშორისო აკადემიურ სფეროებში.

2. **აკადემიური კეთილსინდისიერების უზრუნველყოფისა და ხელშეწყობის მიზნით აკადემია:**

ა) ხელს უწყობს აკადემიური კეთილსინდისიერების კულტურის ჩამოყალიბებას სხვადასხვა აქტივობებით, მათ შორის აკადემიის საგანმანათლებლო პროგრამები მოიცავს სავალდებულო სასწავლო კურსებს /კომპონენტებს, რომლებიც ითვალისწინებს აკადემიური კეთილსინდისიერების საკითხებს;

ბ) ხელს უწყობს აკადემიური კეთილსინდისიერების შესახებ ინფორმაციის ხელმისაწვდომობასა და გავრცელებას;

გ) სწავლა-სწავლებისა და კვლევითი აქტივობების დაგეგმვის ეტაპზე უზრუნველყოფს აკადემიური სიყალბის პრევენციის მექანიზმების შემუშავებას;

დ) ხელს უწყობს აკადემიური კეთილსინდისიერების საუკეთესო საერთაშორისო პრაქტიკების დანერგვას;

ე) უზრუნველყოფს აკადემიური არაკეთილსინდისიერებისა და პლაგიატის აღმოჩენის შემთხვევაში შესაბამისი დისციპლინური პასუხისმგებლობის ზომის გამოყენებას;

ვ) ახორციელებს ქვემოთ ჩამოთვლილი პ/შ ინფორმირებას პლაგიატის შესახებ ამ წესის მეშვეობით, რომელიც ხელმისაწვდომია აკადემიის ვებგვერდზე:

ვ.ა) აკადემიაში დასაქმებული პერსონალის;

ვ.ბ) აკადემიის იუნკერების და მსმენელების;

ვ.გ) პირების, რომლებიც მონაწილეობას იღებენ აკადემიაში არსებულ სამეცნიერო-კვლევით აქტივობებში.;

ზ) _____ უზრუნველყოფს აკადემიის შინაგანაწესში აკადემიური არაკეთილსინდისიერებისა და პლაგიატის რეგულირების მონიტორინგს.

თ) აკადემიის იუნკერები/მსმენელები, პირადი შემადგენლობა და ყველა პირი, რომელიც ჩართულია სამეცნიერო-კვლევით აქტივობაში, ვალდებულია გაეცნოს წინამდებარე წესს.

მუხლი 6. პლაგიატის პრევენცია

1. პლაგიატის პრევენცია აკადემიაში შესაძლებელია აკადემიური წერის უნარების (წყაროების გამოყენებისა და ციტირების წესების ცოდნა) ჩამოყალიბებით.

2. აკადემიაში იკრძალება ნებისმიერი სახის პლაგიატი.

3. ნებისმიერი წყარო, რომელიც არ ეკუთვნის ავტორს, უნდა იყოს აკადემიური წესის დაცვით დამოწმებული (მათ შორის, თარგმნილი, ციტირებული, პარაფრაზირებული, რეზუმირებული ტექსტი).

4. აკადემია განსაზღვრავს ნაშრომში შესაძლო ტექსტური თანხვედრის მაქსიმალურ პროცენტს:

ა) შუალედური და დასკვნითი გამოცდების (გარდა საგამოცდო ცენტრში დაწერილი) და სასწავლო კურსის მიმდინარეობის ფარგლებში წარდგენილ ნაშრომებში, ტექსტური თანხვედრა არ უნდა აღემატებოდეს 20%-ს;

ბ) საბაკალავრო ნაშრომში ტექსტური თანხვედრა არ უნდა აღემატებოდეს 20%-ს;

გ) სამაგისტრო ნაშრომში ტექსტური თანხვედრა არ უნდა აღემატებოდეს 20%-ს;

დ) სამეცნიერო-კვლევით ნაშრომებში ტექსტური თანხვედრა არ უნდა აღემატებოდეს 10%-ს;

ე) ამ მუხლის მე-4 პუნქტის ა) ბ) გ) და დ) ქვეპუნქტებით განსაზღვრულ შემთხვევებში, ტექსტური თანხვედრა განისაზღვრება თავფურცლის, სარჩევის გარკვეული კომპონენტების, განაცხადის, ციტატების, საკუთარი სახელების, სამართლებრივი აქტების, ბიბლიოგრაფიაში/გამოყენებულ ლიტერატურაში არსებული წყაროების ჩათვლით.

5. ამ მუხლის „ე“ პუნქტით გათვალისწინებულ შემთხვევებში, ავტორი არ თავისუფლდება წყაროების არასწორად დამოწმების ვალდებულებისგან. ნაშრომი უნდა შესრულდეს წყაროების დამოწმების სათანადო წესით.

6. პლაგიატის პრევენციის მიზნით აკადემიამ ცხადად უნდა გასცეს შემდეგი ინსტრუქციები:

ა) ციტატების ამოცნობა ტექსტში ყოველთვის უნდა იყოს შესაძლებელი, მათი ბრჭყალებში ჩასმით ან ტექსტიდან გამოყოფით (აბზაცებით) და წყაროების სრული მითითებით. მკითხველმა უნდა შეძლოს გარჩევა, რომელი ნაწილი ეკუთვნის ნაშრომის ავტორს (არის მისი საკუთარი დამოუკიდებელი ნაშრომი) და სად არის სხვისი იდეები.

ბ) ინტერნეტიდან მიღებული მასალა უნდა იყოს სათანადოდ მითითებული და ნახსენები ბიბლიოგრაფიაში. საჭიროა ინტერნეტში მოძიებული ნებისმიერი მასალის გულდასმით შესწავლა, შეფასება რადგან ნაკლებად სავარაუდოა, რომ ეს მასალა გადის ისეთივე სამეცნიერო რეცენზირებას, როგორც გამოქვეყნებული ნაშრომები.

გ) სხვისი ნაშრომის პერეფრაზირებისას, როდესაც ძირითად ტექსტში იცვლება რამდენიმე სიტყვა ან სიტყვათა თანმიმდევრობა, ხოლო არგუმენტაცია, აზრთა მსვლელობა და სტილი იგივეა, აუცილებელია ავტორის მითითება (მათ შორის თარგმნის დროს). პერეფრაზირება ავტორის მითითების გარეშე შესაძლებელია, თუ ეს არის ნაშრომის ავტორის საკუთარი მოსაზრებები.

დ) ნაშრომის ავტორი ვალდებულია მიუთითოს ყველა ციტატა, პერეფრაზი, შეჯამება, ცხრილები, დიაგრამები ან სხვა მასალა, პროგრამული კოდებისა და ელექტრონული მედიის ჩათვლით, სადაც შესაძლოა გამოყენებული იყოს სხვისი ინტელექტუალური საკუთრება, მათ შორის თარგმნის დროს.
ე) ნაშრომის ავტორი ვალდებულია ნაშრომში მოიყვანოს სრული ბიბლიოგრაფია და წყაროები.

ვ) ნაშრომის ავტორი ვალდებულია უზრუნველყოს ორიგინალობა, დამოუკიდებლობა და კეთილსინდისიერება ჯგუფური ნაშრომების ფარგლებშიც და მიუთითონ მათ მიერ შესრულებული ნაწილი.

3. მაქსიმალური ინფორმირება (რეგულაციების დეტალურად გაცნობა/მიწოდება, პლაგიატზე ინფორმაციის ასახვა ყველა სასწავლო კურსში და ა.შ.)

მუხლი 7. აკადემიური არაკეთილსინდისიერების, მათ შორის პლაგიატის აღმოჩენა და რეაგირების მექანიზმები და სანქციები

1. აკადემიურ არაკეთილსინდისიერებაზე, მათ შორის პლაგიატზე რეაგირება უნდა მოხდეს მყისიერად, აღნიშნული ფაქტის დაფიქსირებით. ჩადენილ აკადემიურ არაკეთილსინდისიერებას ან/და პლაგიატს აუცილებლად მოყვება შესაბამისი რეაგირება, რაც ხელს შეუწყობს აკადემიური კეთილსინდისიერების დაცვას.

2. აკადემიაში პლაგიატის აღმოჩენისთვის გამოიყენება ფართოდ გავრცელებული დამხმარე ინსტრუმენტი - პროგრამული უზრუნველყოფა Turnitin, რომელიც ამავდროულად უზრუნველყოფს პლაგიატის პრევენციას და აკადემიური წერის უნარების განვითარებას.

3. აკადემიაში პროგარამა "Turnitin"- ში სავალდებულო წესით ხდება შემდეგი ნაშრომების შემოწმება:

ა) ძირითად საგანმანათლებლო და საგანმანათლებლო ერთეულებში იუნკერთა/მსმენელთა მიერ შესრულებული ნაშრომები (საბაკალავრო, სამაგისტრო, შუალედური/დასკვნითი გამოცდების (გარდა საგამოცდო ცენტრში დაწერილი) და სასწავლო კურსის მიმდინარეობის ფარგლებში წარდგენილი ნაშრომები).

ბ) სამეცნიერო-კვლევითი ნაშრომები (კვლევითი პროექტი, სამეცნიერო ნაშრომი, მონოგრაფია, სახელმძღვანელო, საკონფერენციო თემები და სხვა);

4. პლაგიატის აღმომჩენ ელექტრონულ პროგრამის ტექნიკურ უზრუნველყოფას ახდენს აკადემიის ბიბლიოთეკა. ხოლო მასალის გადამოწმებას და თანხვედრის აღმოჩენას უზრუნველყოფს შესაბამისი პასუხისმგებელი პირი:

ა) ძირითად საგანმანათლებლო ერთეულებში იუნკერთა/მსმენელთა მიერ შექმნილი საბაკალავრო/სამაგისტრო ნაშრომები პირველ ეტაპზე გადამოწმებულ უნდა იქნას თემის ხელმძღვანელის მიერ ნაშრომის წარდგენამდე.

ა.ა) ნაშრომში ტექსტური თანხვედრის პროცენტული მაჩვენებლის დარღვევის შემთხვევაში, ნაშრომი უბრუნდება ავტორს და ეძლევა გონივრული ვადა ხარვეზის გამოსასწორებლად.

ა.ბ) განსაზღვრული ვადის გავლის შემდგომ, საბაკალავრო/სამაგისტრო ნაშრომი ხელახლა მოწმდება თემის ხელმძღვანელის მიერ თემის რეცენზენტთან და ძირითადი საგანმანათლებლო ერთეულის შესაბამისი მიმართულებების უფროსთან ერთად. ტექსტური თანხვედრის განსაზღვრული პროცენტული მაჩვენებლის დარღვევის შემთხვევაში, ძირითადი საგანმანათლებლო ერთეული ვალდებულია შუამდგომლობით მიმართოს აკადემიის რექტორს, რათა უზრუნველყოფილ იქნას საკითხის განხილვა აკადემიის ეთიკის კომისიის მიერ, შესაბამისი დასკვნის მომზადების მიზნით.

ა.გ) ეთიკის კომისია ახდენს მასალების გამოკვლევასა და პლაგიატის ტიპის იდენტიფიცირებას, რომელიც გადაწყვეტილებას წარუდგენს აკადემიის რექტორს და

მიმართავს რეკომენდაციით პლაგიატზე რეაგირების მიზნით პლაგიატის ჩამდენი პირისათვის შესაბამისი დისციპლინური ზომის დაკისრების თაობაზე. ეთიკის კომისიის მუშაობა უნდა იყოს კონფიდენციალური და პლაგიატის დადასტურებამდე ზიანი არ უნდა მიაყენოს პირის რეპუტაციას.

ბ) ძირითად საგანმანათლებლო ერთეულებში შუალედური/დასკვნითი გამოცდების (გარდა საგამოცდო ცენტრში დაწერილი) და სასწავლო კურსის მიმდინარეობის ფარგლებში იუნკერთა/მსმენელთა მიერ წარდგენილი ნაშრომები მოწმდება ერთხელ კურსის განმახორციელებლის მიერ, ძირითადი საგანმანათლებლო ერთეულის მიმართულების უფროსის მიერ იქნება გაკონტროლებული. ნაშრომში ტექსტური თანხვედრის განსაზღვრული პროცენტული მაჩვენებლის დარღვევის შემთხვევაში, ძირითადი საგანმანათლებლო ერთეულის მიმართულების უფროსი უფლებამოსილია გააუქმოს ნაშრომი სასწავლო კურსის განმახორციელებელ პირთან შეთანხმებით.

გ) საგანმანათლებლო ერთეულებში მსმენელის მიერ წარდგენილი ნაშრომები მოწმდება ერთხელ საგანმანათლებლო ერთეულის წარმომადგენლის მიერ. საგანმანათლებლო ერთეულის წარმომადგენელი უფლებამოსილია გააუქმოს ნაშრომი სასწავლო კურსის განმახორციელებელ პირთან შეთანხმებით.

დ) ნებისმიერი სამეცნიერო-კვლევითი ნაშრომი (კვლევითი პროექტი, სამეცნიერო ნაშრომი, მონოგრაფია, სახელმძღვანელო, სტატია, საკონფერენციო თემა და სხვა) მოწმდება სამეცნიერო-კვლევითი ცენტრის წარმომადგენლის მიერ.

დ.ა) სამეცნიერო-კვლევითი ნაშრომში ტექსტური თანხვედრის განსაზღვრული პროცენტული მაჩვენებლის დარღვევის შემთხვევაში, იწერება ორი ფარული რეცენზია, რომლის ფარგლებში ნაშრომს ანონიმურად აფასებენ რეცენზენტები (დარგობრივი ექსპერტები) და ადგენენ დასკვნას. დასკვნასთან ერთად ნაშრომი უბრუნდება ავტორს და ეძლევა ვადა 3-5 სამუშაო დღის ოდენობით ხარვეზის გამოსასწორებლად.

დ.ბ) განსაზღვრული ვადის გავლის შემდგომ, სამეცნიერო-კვლევითი ნაშრომი ხელახლა მოწმდება სამეცნიერო-კვლევითი ცენტრის წარმომადგენლის მიერ. ტექსტურის თანხვედრის დადგენილი დონის გადაცდომის შემთხვევაში ნაშრომი უქმდება სამეცნიერო-კვლევითი ცენტრის ხელმძღვანელის გადაწყვეტილებით.

დ.გ) იმ შემთხვევაში თუ ავტორი არ ეთანხმება სამეცნიერო-კვლევითი ცენტრის ხელმძღვანელის გადაწყვეტილებას ნაშრომის გაუქმების თაობაზე, ან კანონით

დადგენილ ვადებში ასაჩივრებს აღნიშნულ გადაწყვეტილებას, ან/და გააჩნია სხვა რაიმე სახის პრეტენზია, ნაშრომი გადაეგზავნება ეთიკის კომისიას შემდგომი რეაგირებისთვის.

მუხლი 8. გასაჩივრების წესი

1. ტექსტური თანხვედრის ფაქტის დადასტურების შესახებ ეთიკის კომისიის/რეცენზენტების დასკვნა შესაძლებელია გასაჩივრდეს დასკვნის გაცნობიდან 3 კალენდარული დღის ვადაში, აკადემიის აკადემიურ საბჭოზე.
2. გასაჩივრებული დასკვნის განხილვის სხდომაზე (აკადემიური საბჭოს სხდომა) შესაძლებელია დაესწროს საქმეში მონაწილე პირები, მათ შორის ის პირი, რომლის საკითხიც განიხილება.
3. აკადემიური საბჭო გადაწყვეტილებას იღებს აკადემიური საბჭოს წევრთა სიითი შემადგენლობის უმრავლესობით.
4. აკადემიური საბჭოს გადაწყვეტილება საბოლოოა და მისი გასაჩივრება შესაძლებელია მხოლოდ სასამართლოში.

მუხლი 9. დასკვნითი დებულებები

1. აღნიშნულ წესში ცვლილებებისა და დამატებების შეტანა ხდება აკადემიური საბჭოს გადაწყვეტილებით.